



ხობის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ50.50210573

თარიღი:26/02/2021

ხობის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. ხობის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას საკოორდინაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ვარაზ გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის უფროსი;
- ბ) მახარე ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ჯგუფის უფროსის მოადგილე;
- გ) დავით ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- დ) ზვიად ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- ე) ზაზა ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- ვ) ანტონ ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- ზ) ელისო კვიციანი - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- თ) შოლინა კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- ი) ირაკლი ძიძიგური - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- კ) ნათელა ლომაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;
- ლ) პაატა ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის მდივანი;

მოწვევით:

ტარიელ ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

ვლადიმერ ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

გვანცა კიკალეიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი.

2. ხობის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენისა და ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ეფექტურად დაგეგმარების მიზნით, დაევალოთ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, განახორციელონ თავიანთი საქმიანობის პრიორიტეტიზაცია ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრიორიტეტულად განსახორციელებელი პროექტების შესაბამისად, ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნებით.

3. დამტკიცდეს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების შიდა საბიუჯეტო კალენდარი N1 დანართის შესაბამისად;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და სამსახურების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა N2-N7 დანართების შესაბამისად.

4. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს 1 (ერთი) თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (N1 დანართი) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

გ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები.

5. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს ხობის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავსირებით სამუსაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე და გაცველდეს 2021 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამაერთლებრივ ურთიერთობებზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

გოჩა ქაჯაია

ხობის მუნიციპალიტეტის მერია-ხობის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

